წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №9

2020 წლის 25 ივნისი

ქ.წალენჯიხა

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია**
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი: თემურ ღვინჯილია, დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ახმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, ლაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, გიორგი აბულაძე.
საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: თენგიზ ფიფია, ცოტნე მესხია,დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, ნონა გუჩუა, ირაკლი ხარჩილავა.
აქედან საპატიო მიზეზით საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა: თენგიზ ფიფია.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის პირველი მოადგილე ლაშა ჭანია, მერის მოადგილე ცოტნე შონია, საკრებულოს და მერიის თანამშრომლები.

**სხდომა დაიწყო:** 10:00 სთ.

**სხდომა დასრულდა:** 10: 40 სთ.

კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა დისტანციურად , ყველა სათანადო ნორმების დაცვით.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 15).

დღის წესრიგი:

**1.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ .**

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გელა სალია**, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2.,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-21 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

4. სხვადასხვა

მოისმინეს : 1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით - (იჯარით) გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა ავთანდილ გაბელიამ მიმართა ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს განემარტა აღნიშნული მიწის ნაკვეთის მოიჯარემ მთლიანად დაფარა თუ არა გასული წლის საიჯარო ქირა.

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ განმარტა, რომ მოიჯარეს შემოაქვს თანხები ეტაპობრივად და რაც შეეხება საიჯარო ქირა ახალი ხელშეკრულებით გაიზრდება

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი 2- ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N16 ).

მოისმინეს: 2. ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2019-21 წლებში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის #34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ თანხები რომლებიც გამოყოფილია შიდა გზების რეაბილიტაციისთვის არ არის საკმარისი რათა მთლიანად მოხდეს მუნიციპალიტეტში არსებული ქუჩების მოასფალტება და რა კრიტერიუმებით მოხდება აღნიშნული ქუჩების შერჩევა.

მუნიციპალიტეტის მერმა ზესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ პრიორიტეტები მიენიჭება ქუჩებს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულება (N17 ).

**მოისმინეს: 3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დავით ბელქანიამ აღნიშნა, რომ სამცაცხვის ტერიტორიაზე სადაც სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში შეცდომით პრიორიტეტად იყო სტადიონი ჩაწერილი მოხდა თუ არა პროექტის ცვლილება და მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული პროექტისთვის გათვალისწინებული თანხა მიმართულ იქნეს მშვიდობის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოსაწყობად.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ ეს პროექტი ამოღებულ იქნა და მის მაგივრად ეკლესიის გზაზე მოეწყობა თანამედროვე ლედ განათება. ვინაიდან მოსახლეობამ როგორც პიორიტეტი ეგ აირჩია.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულ იქნა შესაბამისი განკარგულება (N18 ).

4. სხვადასხვა

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრმა დათა კუკავამ და ავთანდილ გაბელიამ დასვეს საკითხი თუ რა ეტაპზეა მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების საკითხი.

მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ გაფორმდა მიღება-ჩაბარება , მიმდინარეობს მოლაპარაკება სოკართან და უმოკლეს დროში გაფორმდება ხელშეკრულება . რაც შეეხება პროექტირებას ყველა საოფელში წლის ბოლომდე დასრულდება.

საკრებულოს წევრმა გიორგი აბულაძემ მიმართა მერიას თუ რა ეტაპზეა მერიის დამწვარი შენობის დემონტაჟის საკითხი.

მერის პირველმა მოადგილემ ლაშა ჭანიამ აღინშა, რომფორმალური მხარეები კერძო მესაკუთრეებთან უკვე მოგვარებულია და დემონტაჟი სავარაუდოდ 15 ივლისიდან დაიწყება.

გიორგი აბულაძემ ასევე ისაუბრა ნაკიფუს თემში წყალსაქაჩი ტუმბოზე რომელიც ამორტიზირებულია და მოხდა თუა არა მისი შეცვლა . რაზეც მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა განმარტა რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია.

საკრებულოს წევრმა ანზორ ძაძამიამ აღნიშნა რომ სოფ ეწერში არის წყლის პრობლემა და მიმართა მერიის შესაბამის სამსახურებს მოახდინონ სათანადო რეაგირება.

საკრებულოს წევრმა მაია მიქავამ აღნიშნა რომ ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი კოლმეურნეობის შენობა არის ამორტიზირებული , ბავშვები თამაშობენ ამორტიზირებულ შენობაში და საჭიროა დროული დაშლა სანამ სავალალო შედეგი დადგება.

საკრებულოს წევრმა დალი კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ჯგალის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობას აწვიმს და მიმართა მერიის შესაბამის სამსახურებს დროული რეაგირება. მუნიციპალიტეტის მერმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ საწრეტი არხი იყო გაჭედილი და მოხდა დასუფთავება.

საკრებულოს წევრმა ვალერიანე კვარაცხელიამ აღნიშნა, საშანაოს უბანში წყლის დაქცევა ერთი ერთი პრობლემაა და მოხდება თუ არა ამ წლის ბოლომდე ამ პრობლემის მოგვარება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია